

საგზაო

საერთოული გაზეთი

პარასკევი 26 მარტი 2004 №67 (2086)

ფასი 50 თეთრი

არჩევანი: არჩევნები

ანთაქას უნდა, გეგიძას არ უნდა

რაგბის კავშირს პრეზიდენტის არჩევნები კარს მიაღება თუ გახსოვთ, 29 მარტს განმეორებითი ყრილობა დანიშნული და ამომრჩევლები ანუ ქართული კლუბები და ვეტერანი მორაგებები ერთხელაც გამოიყენებენ სასურველი პრეზიდენტის და მომავლის არჩევის უფლებას. პრეზიდენტობის კანდიდატი კვლავაც ორია, ქართული რაგბის მოქმედი მეთაური ბიძინა გეგიძე და პრეტენდენტი მერაბ ანთაძე. „ქართულ რაგბის არჩევნებისთვის არ სცხელა, მაისამდე გადავლოთ“ — ამბობს გეგიძე.



„ქართულ რაგბის სასწრაფოდ სჭირდება შველა“ — ეს კი ანთაძის და მისი გუნდის აზრია. ჩვენ კი, თქვენი ნებართვით, დავამატებთ, რომ პრეზიდენტის არჩევნებში ფრის დაფიქსირების შემთხვევაში — პირველ არჩევნებში კი ხმები 14-14 გაიყო — რაგბის კავშირის წესდება ერთი თვის ვადაში განმეორებითი ყრილობის მოწვევას და არჩევნების დანიშნავს ითვალისწინებს. 26 იანვრიდან ზუსტად ორი თვე გავიდა...




მერაბ ანთაძე



ბიძინა გეგიძე



სონი ანდერსონიძე ფაბიო კაპელოს და „რომას“ წევრები და იმედი მოუშალა



შერარ ულიემ იქნებ მარტო უფას თასს არ დაუქნია ხელი

ბარსელონა სელტიკის კადალს შეასკდა



UEFA CUP

საგზაო

აიუბალა

ბარსელონა

რაიუბალა

იხილეთ მეორე გვერდი

გადარი ამთილაქას ფოტო

გადარი ამთილაქას ფოტო

REUTERS ბარსელონიდან

სელტიკი ესპანეთში დარჩა



მარსელი — ლიგერბული. ფაბიან ბარტემა ცხვირი გაიტეხა, „ლიგერბული“ სახელი

მეფისი ქვეყნის 8 გუნდმა გუშინ უეფას თასის მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა. ოთხი ესპანელი მერვედფინალისტიდან ორმა გამოცდა ვერ ჩააბარა, ერთ-ერთი ხელმოცარული ბოლოს დროს წაგებას გადაჩვეული „ბარსელონა“ აღმოჩნდა. მოგუგუნე „კამპ ნოუზე“ რონალდინიომ და მისმა ამჟამად ვერაფერი მოუხერხეს კერკეტ შოტლანდიელებს. „სელტიკმა“ კბილებით დაიჭირა სასურველი 0:0 და მეოთხედფინალშიც ესპანელი მეტოქე დაისვა — „ვილიარეალი“, რომელმაც გუშინ გათამაშების კიდევ ერთი ფაქტორიტი „რომა“ გააწვია. არადა, რომაელებს 50-ე წუთისთვის ვილიარეალური 0:2 გაბათილებული ჰქონდათ, მაგრამ სონი ანდერსონმა არ მოისვენა და მოხდენილი გოლით „რომას“ წუხანდელი მოგება წაგების ტოლფასი გახადა.

„ნიუკასლმა“ საშინაო მატჩის მს-

გავსად პალმა დე მალიორკაშიც ერთი ტაიმი იკმარა მოსაგებად — ჯორდთა წუხანდელი სამივე გოლი სამეორეტიამო იყო და კვლავაც გაიბრწყინა ალან შირერმა. ჯორდებს მეოთხედფინალში ასე დაუდგება. ჰოლანდიელებმა იოლად სძლიეს ულიდერებოდ მოთამაშე „ოსერს“. „ბენფიკამ“ დისკვალიფიკაცია მოხდელი ნუნუ გომეში ჩაიყვანა მილანში. „ინტერთან“ მატჩის პირველი და ბოლო გოლები პორტუგალიელთა იყო, ნუნუმაც დუბლი შეაწია თავისიანებს, მაგრამ „ინტერმა“ ბენფიკას სამს, ოთხი გოლი დაახვედრა და იტალიელებს საუეფოსთასო პრესტიჟი შეუნარჩუნა. გუშინდელი რვა მატჩიდან ერთში დამატებითი დროც გამოერია. „ვალენსიამ“ თურქულ „გენლერთან“ 90 წუთში მხოლოდ ერთი გოლი გაახერხა, თუმცა მეცვლაზე შესულმა ვისენტემ პენალტებამდე საქმე აღარ მიიყვანა.

ჰოლანდიელ იოჰან ბოსკამს გულის ოპერაციის შემდეგ ექიმებმა მუშაობის ნება დართეს და ისიც, ალბათ, არ დააყოვნებს და მალე საქართველოში ჩამოვა. ბოსკამს, მოგეხსენებათ, ფეხბურთის ფედერაციამ სამსახური ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებსა და ერთ-ერთ უმაღლესლიგელ გუნდში უკვე შესთავაზა. ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასა და მწვრთნელს შორის საბოლოო მოლაპარაკება გერმანულ მანჰაიმში ორშაბათსამშაბათს შედგება და, თუ ქვეყანა არ დაიქცა, ბოსკამში ჟორდანიას წინადადებას დათანხმდება.



მანჰაიმში ორი ახსანაგური გაიმართება ჟორდანიასაც უნდა მოიგოს. ბოსკამის გული

საკონტრაქტო საქმე, ფაქტობრივად, მოგვარებულია, მართალია, ამაზე ბოსკამი ჯერ არ საუბრობს და ჟორდანიასთან შეხვედრას ელის, თუმცა ამბობენ, ფედერაცია-მწვრთნელს შორის დეტალებზე შეთანხმებას წინ ვერაფერი დაუდგება.

— მერაბ ჟორდანიას ორიოდ დღის წინ დამიკავშირდა. შეხვედრა მანჰაიმში დავთქვით, სადაც საქართველოს ეროვნული გუნდი ამხანაგურ მატჩს გამართავს — გვითხრა ბოსკამმა — საქართველოში ჩემი დაბრუნების საკითხიც საბოლოოდ იქ გაირკვევა, მანამდე კი ვერაფერს ვეტყვით. ვნახოთ, რა შედეგით დასრულდება ჩვენი მოლაპარაკება.

— ამბობენ, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად თქვენი დანიშნვა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი საქმეა.

— ჟორდანიასთან შეხვედრამდე ვერაფერს ვეტყვით. მანჰაიმში ვიტყვი საბოლოო პასუხს.

— იმასაც ამბობენ, ბოსკამი ახალგაზრდულის პარალელურად უმაღლესი ლიგის გუნდს ჩაიბარებს. ამის თაობაზე რას გვეტყვით?

— თბილისის „დინამოში“ დაბრუნებაზე ზომ არაფერი უთქვამს? — არა, მან იცის, რომ გუნდიც უნდა ჩააბარონ, მაგრამ რომელიც, ეს უკვე აღარ იცის.

— არ იცის თუ არ უთქვამს? — არ იცის.

— არც „დინამოში“ უთქვამთ ამის თაობაზე არაფერი? — არა, ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი მსმენია.

— ბოსკამს რომ სხვა გუნდი ჩააბარონ, უწინდელით დეჰმარებით მს? — „დინამოში“ ჩემი საქმე მაქვს. აქ ვარ დაკავებული, რაც ჩემთვის დიდი პატივია. ისე კი, ბოსკამთან ვემეგობრობ და, რა თქმა უნდა, მასთან ურთიერთობა შექნება.

მოკლედ, რომელ გუნდს შესთავაზებენ საქართველოს გზაზე მდგარ ბოსკამს, ვერაფერით ისევ უცნობია. იმ პროექტით, რომლითაც ჩვენთან უცხოელები, ალბათ რუსეთი მოდიან, უფრო ზუსტად კი ნავთობკომპანია „ნაფტამოსკვა“ მოდის, ეს კლუბი თბილისის „ლოკომოტივი“ უნდა იყოს. თუმცა, შიგადაშიგ შეიძლება სხვა გუნდების სახელებსაც მოვკრაო ყური... ვველაფერს დრო გამოაჩენს.

— თბილისის „დინამოში“ დაბრუნებაზე ზომ არაფერი უთქვამს? — არა, მან იცის, რომ გუნდიც უნდა ჩააბარონ, მაგრამ რომელიც, ეს უკვე აღარ იცის.

— არ იცის თუ არ უთქვამს? — არ იცის.

— არც „დინამოში“ უთქვამთ ამის თაობაზე არაფერი? — არა, ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი მსმენია.

— ბოსკამს რომ სხვა გუნდი ჩააბარონ, უწინდელით დეჰმარებით მს? — „დინამოში“ ჩემი საქმე მაქვს. აქ ვარ დაკავებული, რაც ჩემთვის დიდი პატივია. ისე კი, ბოსკამთან ვემეგობრობ და, რა თქმა უნდა, მასთან ურთიერთობა შექნება.

მოკლედ, რომელ გუნდს შესთავაზებენ საქართველოს გზაზე მდგარ ბოსკამს, ვერაფერით ისევ უცნობია. იმ პროექტით, რომლითაც ჩვენთან უცხოელები, ალბათ რუსეთი მოდიან, უფრო ზუსტად კი ნავთობკომპანია „ნაფტამოსკვა“ მოდის, ეს კლუბი თბილისის „ლოკომოტივი“ უნდა იყოს. თუმცა, შიგადაშიგ შეიძლება სხვა გუნდების სახელებსაც მოვკრაო ყური... ვველაფერს დრო გამოაჩენს.

უეფას თასი	
UEFA CUP 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. გუშინ	
ბრიუსელ (ბელგია) 0:1 ბორდო (საფრანგეთი) (1:3)	0:1 შაპანი (84)
პსმ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 3:0 ოსერნი (საფრანგეთი) (1:1)	0:1 ნუნუ გომეში (36), 1:1 მარტინისი (45), 2:1 რეკობა (60), 3:1 ვიერი (64), 3:2 ნუნუ გომეში (67), 4:2 მარტინისი (70), 4:3 ტიაგო (77)
რომ (იტალია) 2:1 ვილიარეალი (ესპანეთი) (0:2)	0:1 მარსელი (საფრანგეთი) 2:1 ლიგერბული (ინგლისი) (1:1)
1:0 ემერსონი (10), 2:0 ვასანო (50), 2:1 ს. ანდერსონი (66)	0:1 ჰესკი (15), 1:1 დროგბა (38), 2:1 მეიტე (58)
გაძეგება: ძებინა (88, „რომა“)	გაძეგება: ბიშვანი (36, „ლიგერბული“)
ინტერი (იტალია) 4:3 ბანფიკა (პორტუგალია) (0:0)	გაძეგება: ბიშვანი (36, „ლიგერბული“)
0:1 ნუნუ გომეში (36), 1:1 მარტინისი (45), 2:1 რეკობა (60), 3:1 ვიერი (64), 3:2 ნუნუ გომეში (67), 4:2 მარტინისი (70), 4:3 ტიაგო (77)	გაძეგება: ბიშვანი (36, „ლიგერბული“)
მარსელი (საფრანგეთი) 2:1 ლიგერბული (ინგლისი) (1:1)	გაძეგება: ბიშვანი (36, „ლიგერბული“)
0:1 ჰესკი (15), 1:1 დროგბა (38), 2:1 მეიტე (58)	გაძეგება: ბიშვანი (36, „ლიგერბული“)
გაძეგება: ბიშვანი (36, „ლიგერბული“)	გაძეგება: ბიშვანი (36, „ლიგერბული“)
მალდორა (ესპანეთი) 0:3 ნიუკასლი (ინგლისი) (1:4)	გაძეგება: ბიშვანი (36, „ლიგერბული“)
0:1 შირერი (46), 0:2 ბელაში (78), 0:3 შირერი (89)	გაძეგება: ბიშვანი (36, „ლიგერბული“)
ბარსელონა (ესპანეთი) 0:0 სელტიკი (შოტლანდია) (0:0)	გაძეგება: ბიშვანი (36, „ლიგერბული“)
3:0 ბარსელონა (ესპანეთი) 2:0 ბარსელონა (თურქეთი) (0:0)	გაძეგება: ბიშვანი (36, „ლიგერბული“)
1:0 მისტა (63), 2:0 ვინსენტე (94)	გაძეგება: ბიშვანი (36, „ლიგერბული“)
გაძეგება: ბიშვანი (36, „ლიგერბული“)	გაძეგება: ბიშვანი (36, „ლიგერბული“)

გაერთიანებული

ბორდო — ვალენსია
მარსელი — ინტერი
სელტიკი — ვილიარეალი
პსე ეინდჰოვენი — ნიუკასლი

პირველი მატჩები — 8 აპრილი, საპასუხოები — 14 აპრილი

იტალია

სერია A
გადაღებული მატჩი
ბოლონა 2:1 ლაციო

ინგლისი

პრემიერ ლიგა
გადაღებული მატჩი
საბერტონი 1:0 კარლიფონი


ირლანდია

პრემიერ ლიგა. III ტური
დუალინი — ლონგფორდი
გადაიდო

ავსტრია

თასის მატჩი
არნჰოლტი — რაბილი
გადაიდო

შტილიკე ფილარს ლაუტი სოსოვა გერმანულაბი საბი დლით აღრე გაიხსრილავიან



30 მარტის U-21 გერმანია — საქართველო ერთობ მნიშვნელოვანი მატჩია იქაურებისთვის — გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვებგვერდი იუწყება, რომ ამ თამაშის შემდეგ გუნდის მთავარი მწვრთნელი ული შტილიკე იმ ფეხბურთელების სიას დაადგენს, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ.

შტილიკეს საგარეო თვრამეტეული საქართველოსთან მატჩისთვის „სარბილმა“ აღრე მოუწოდათ. საფეხბურთო კავშირის ვებგვერდზე კი წერია, რომ შტილიკემ ვინძლო ერთი დებოტანტი გამოსცადოს ქართველებთან — ბერლინის „ჰერტას“ ნახევარმცველი მალიკ ფატი.

31 მარტს კი გერმანიის ეროვნული ნაკრები თამაშობს ამხანაგურ მატჩს კიოლნში ბელგიელებთან, ხოლო შტილიკეს სურს, „მიუნხენ 1860“-ის ფორვარდი ბენჟამენ ლაუტი თავის გუნდში ათამაშოს. ლაუტს კარგა ხანია, ახალგაზრდულში კი არა, ეროვნულ ნაკრებში იწვევენ, სადაც მეტწილად შეცვლაზე თუ თამაშობს. მოკლედ, შტილიკეს და ეროვნული ნაკრების დამრიგებელ რუდი ფიოლერს ლაუტზე შეთანხმება მოუწევთ. იმასაც დაეძენთ, რომ შტილიკეს ნაკრებში თავდასხმაში ძირითადად მაიკ ჰანკეს („შალკე“) და ლუკაშ პოდოლსკის („კიოლინი“) ტანდემი თამაშობს.

კავშირის ვებგვერდი ნიუსის ბოლოს დასძენს, რომ შტილიკე საქართველოსთვის საბოლოო თვრამეტეულს 27 მარტს გამოაცხადებს.

დავით თავაძეთილაძე

საქართველოს 15 რეაქციონარი 2 ტურში

შედეგები: 15 რეაქციონარი

პეორა: 15 რეაქციონარი

თბილისი. 26 მარტი. 15 საათი. ისპენი

თბილისი — ვიტ ჯორჯია

მსაჯეები: გ. მესხი (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედი); გ. ცირდავა (ტულუნი);
ლ. ფანიასვილი (თბილისი); სფზ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: ს. კოტრიკაძე

ბიორგი დევდარიანი, „თბილისის“ მთავარი მწვრთნელი: სეზონი ახალი დაწყებულია, გუნდი ვერ ოპტიმალურ ფორმაში არაა, მაგრამ პროგრესის გზაზეა და ნებისმიერ თამაშზე მხოლოდ მოსაგებად გავდივართ — ცხადია, ასე იქნება „ვიტ ჯორჯიასთანაც“.

— ჩემპიონატის პირველ ეტაპთან შედარებით, ახლა განსხვავებული ტაქტიკით ვთამაშობთ და ერთი სქემიდან მეორეზე რომ გადადიხარ, ეს უმტკივნეულოდ არ ხდება — ამას დრო სჭირდება. სქემა კი იმიტომ შევცვალეთ, რომ დროთა განმავლობაში ის ადვილად წასაკითხი გახდეს მეტოქეთათვის.

— ჩვენი ახალწვეულებით, სოსო გრიშკაშვილით და რევაზ ქემოკლიძით კმაყოფილი ვარ — ისინი გამოცდილი ფეხბურთელები არიან და მათი გუნდში ყოფნა „თბილისის“ ახალგაზრდა ფეხბურთელებსაც წაადგებათ.

— რაც შეეხება ჩვენს მეტოქეს, „ვიტ ჯორჯია“ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გუნდია, მაგრამ ჩვენ მასზე ნაკლები ნამდვილად არ ვართ.

ნიკა ღოლიძე, „თბილისის“ პრეზიდენტი: „თბილისმა“ საფუძვლიანი შეკრება გაიარა და გუნდი ფორმის პიკს მეორე ეტაპის შუა პერიოდში მიაღწევს. უეფას თასის საგზურის მოპოვება გვსურს და თუ ეს მოვახერხებთ, გუნდის შემადგენლობაში რადიკალური ცვლილებები, ვფიქრობ, საჭირო არ იქნება. უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლაში ჩვენ შეგვწევს იმის ძალა, რომ ჩემპიონატზეც და თასის გათამაშებამაც მაქსიმალური შედეგისთვის ვიბრძოლოთ.

— რაც შეეხება მეტოქე გუნდების ცუდ მოედნებს, ევროპული გუნდები აქ რომ ჩამოვიდნენ, ასეთ მინდვრებზე თამაშზე უარს იტყვიან. ცუდ მოედანზე შეუძლებელია მთელი რიგი საფეხბურთო ელემენტების ჩვენება, რაც ჩვენთვის ხელისშემშლელი ფაქტორია.

ბურის ცენტრალურ მატჩად „თბილისის“ — „ვიტ ჯორჯია“ სჭივის და გუშინ თრივე გუნდმა ცალ-ცალკე პრესკონფერენცია მოაწყო



ზურაბ ბერიძე: ვიტ ჯორჯია მოუბაზს თბილისს! ბიორგი დევდარიანი: რით გვჯობია ვიტ ჯორჯია?!

ბუნდში შესანიშნავი განწყობაა. ფეხბურთელები კარგ ფორმაში არიან. ისინი ჩემს ყველა დავალებას შეასრულებენ და დარწმუნებული ვარ, გამარჯვება ჩვენ დაგვრდება — ამ სიტყვებით დაიწყო გუშინდელი პრესკონფერენცია ზურაბ ბერიძემ.

„ვიტ ჯორჯიას“ თავკაცს გუნდი სასტუმრო „საირმეში“ ჰყავს შეკრებაზე და ჟურნალისტებიც იქ იწვია „თბილისთან“ მატჩისწინა პრესკონფერენციაზე. მედიელთა შეკითხვებს „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანმა ლაშა ნოზაძემაც უპასუხა.

ზურაბ ბერიძე: ახლახან დავბრუნდით ვარჯიშიდან. კმაყოფილი ვარ ბიჭების მზადყოფნით. ყველა მონდომებულია, ყველას ერთი სურს — „თბილისს“ უნდა ვეძლიოთ.

— წინა მატჩებისგან განსხვავებით, რის შეცვლას ისურვებთ „თბილისთან“ თამაშში?

— გოლი გვინდა! გოლი უნდა გავიტანოთ. ჩვენ მხოლოდ ეს გვაკლია, თორემ წინა მატჩებში ცუდად არ გვითამაშია, უფრო ბედმა გვაქცია ზურგი.

— „სპარტაკთან“ სათასო მეოთხედფინალის პირველ მატჩში თქვენი მარცხი მართლაც მოულოდნელი იყო...

— ვინც ეს თამაში ნახა, დამეთანხმება, რომ არ გაგვიმართლა. განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა არაერთი საგოლე მანქანა ვერ გამოვიყენეთ. საბოლოოდ კი დავმარცხდით. ფეხბურთში ასეთი რამ ხდება და ეს სულაც არაა ტრაგედია, მით უფრო, რომ წინ საპასუხო მატჩია. წაგება გავაანალიზებთ, ფეხბურთელებს შეცდომებზე მივუთითებ და მორჩა, ეს მარცხი დავიწყებულა. ხვალ სხვა „ვიტ ჯორჯიას“ ნახავთ, მებრძოლს, უნინანს და გამარჯვებულს.

— ასე დარწმუნებული ხართ გამარჯვებაში?

— მე ყოველთვის ასე ვარ. სულ მოგება მინდა. ამას არც ვმაღავ, პირიქით, ჩემს განწყობას

ფობას ფეხბურთელებსაც ვუზიარებ და დამატებით მუხტს ვაძლევ მათ. ამიტომაც გავიმეორებ — „ვიტ ჯორჯია“ მოუბაზს „თბილისს“!

— მეტოქის სუსტ და ძლიერ მხარეზე რას იტყვით?

— „თბილისი“ შეკრული, შეთამაშებული გუნდია. ფეხბურთელები ბევრს მოძრაობენ და ბურთის სწორად ფლობით გამოირჩევიან. მეტოქის სუსტ მხარეზე კი დღეს ვერაფერს გეტყვით. ვფიქრობ, ამ კითხვაზე ხვალინდელი შეხვედრა გიპასუხებთ.

ლაშა ნოზაძე: „სპარტაკთან“ მარცხი მართლაც დაგვიწყვიტა. ძალიან კი დაგვწყვიტა გუნდი, მაგრამ ამ მარცხის გამოსწორება საპასუხო შეხვედრაშია შესაძლებელი. ახლა კი ყველა ხვალინდელ მატჩზე ვფიქრობთ, „თბილისს“ უნდა მოუუგოთ, თუმცა ეს არ იქნება იოლი.

— „ისანზე“ ყველაზე ხარისხიანი მოედანია და ამას ბევრი გუნდისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს...

— ჩვენთვის მოედანი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. თავს არ ვიმართლებთ, მაგრამ გარკვეულწილად უხარისხო მოედნების მიზეზით ვერ ვიმარჯვებთ წინა მატჩებში. „ისანს“ მწვანეზე კი უფრო შედეგაყვანილად გავაგორებთ ბურთს.

— „თბილისიდან“ რომელ ფეხბურთელს გამოარჩევთ?

— „თბილისის“ განსაკუთრებით შუა ხაზში ჰყავს ძლიერი მოთამაშეები. ჩვენთვის ყველაზე სახიფათო კი ალბათ თორნიკე აფციაურია, თუმცა ჩვენი შეჩერება ძნელი იქნება. ძალიან გვინდა მოგება.

— ტოტალიზატორში რომ იყოს ფსონი ამ მატჩზე, ვისზე დადებდით?

— რა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯიაზე“.

— რა თანხას ჩახვიდოდი შენი გუნდის მოგებაზე?

— კოეფიციენტს გააჩნია...

ბაბატა კვანტალიანი

ბოლნისი. 26 მარტი. 15 საათი. თამაზ სტიფანია

სიონი — დინამო

მსაჯეები: მ. მალაღორაძე (ელკანუცი (ორივე თბილისი)); გ. ჩიგოგიძე (სამტრედი);
ა. შილაკაძე (თბილისი); სფზ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა; დირექტორი: ბ. ბურჯულიანი

დაივიწყეთ სტატისტიკა!



თემურ მახარაძის „სიონს“ ფული მოაყვდა, იგი უშუალოდ კი ბოლნისში რიხით ჩადის



„სიონი“ სათასო ბატალიებს გამოაკლდა და „დინამოსთან“ საშინაო მატჩში საკუთარ გულშემოტკივრებთან რეაბილიტაციას შეეცდება. მაგრამ ბოლნისურ კლუბს არცთუ საუკეთესო დრო უდგას. სიონელები ძველ დროს მისტირიან, ზურაბ ჯაფარიძის გამგებლობისას საფეხბურთო ცხოვრება დუღდა, არაფერი გვიჭირდა, ახლა კი მეორე წრე ხეირიანად არც დაწყებულია და უკვე ხელფას-პრემიების პრობლემა გვაქვს.

„სიონი“ სათასო ბატალიებს გამოაკლდა და „დინამოსთან“ საშინაო მატჩში საკუთარ გულშემოტკივრებთან რეაბილიტაციას შეეცდება. მაგრამ ბოლნისურ კლუბს არცთუ საუკეთესო დრო უდგას. სიონელები ძველ დროს მისტირიან, ზურაბ ჯაფარიძის გამგებლობისას საფეხბურთო ცხოვრება დუღდა, არაფერი გვიჭირდა, ახლა კი მეორე წრე ხეირიანად არც დაწყებულია და უკვე ხელფას-პრემიების პრობლემა გვაქვს.

„დინამო“ ხშირად იგებს ბოლნისში და უშუალოდ გუნდი დღესაც ფაუორიტია. „ბათუმთან“ სათასო მატჩში დინამოელთა შეტევას ახალაიას გარეშე სიმწვავე აკლდა. ბოლნისში ლაღო ძირითადად იქნება და ეს დინამოელთა მწვრთნელს ალსანიშნ ფაქტადაც მიაჩნია.

ივო შუშაკი: ბოლნისში საკმაოდ რთული მატჩი გველის. უკვე ცნობილია, რომ ვირუსული ინფექციის გამო ვერ ითამაშებენ ზოიძე და კანდელაკი, ისინი 10 დღე ვერ ივარჯიშებენ.

მე არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებ სტატისტიკურ მონაცემებს, ანუ იმ უპირატესობას, რაც ბოლო მატჩებში „სიონთან“ გვქონდა. ჩვენ ყველაფერს თავიდან ვიწყებთ და ამიტომ ჩემი ფეხბურთელები უაღრესად მოტივირებულები გავლენ მოედანზე. ტრადიციულად, მხოლოდ მოსაგებად და სამი ქულის ასაღებად ვითამაშებთ. ერთი კარგი ცნობაც: ახალაიამ დისკვალიფიკაცია მოიხადა და გვიბრუნდება, რაც ჩვენი გუნდის შემტევე პოტენციალს კიდევ უფრო გაზრდის.

საჩემპიონო რბოლაში ბოლნისში გამარჯვება დიდ სამსახურს გავიწვევს, ვინაიდან ამ ქალაქში ბევრი კონკურენტი დაკარგავს საჭირო ქულებს.

	I-VI ადგილები	VII-XII ადგილები	
დინამო	1 0 1 0 0:0 26	ტორპედო	1 1 0 0 1:0 20
ვიტ ჯორჯია	1 0 1 0 0:0 22	ბათუმი	0 0 0 0 0:0 16
სიონი	1 0 1 0 0:0 21	კოლხეთი	1 0 1 0 1:1 13
თბილისი	1 0 1 0 0:0 19	მცხეთა	1 0 1 0 1:1 11
დილა	1 0 1 0 0:0 18	სპარტაკი	0 0 0 0 0:0 8
ლოკომოტივი	1 0 1 0 0:0 18	მერცხალი	1 0 0 1 0:1 5



„დილა“ — „ლოკომოტივი“ საინტერესოც უნდა იყოს და სამაჟორად ძნელი

თბილისი. 26 მარტი. 15 საათი. ტორპედო

ტორპედო — ბათუმი

მსაჯეები: მ. მაისურაძე; ზ. მენთეშვილი (ორივე თბილისი); ა. სამხარაძე (სოსუმი);
გ. ვადჯორია (თბილისი); სფზ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

თბილისი. 26 მარტი. 15 საათი. ცენტრალური

მერცხალი — კოლხეთი

მსაჯეები: ა. მუშვიტი (თბილისი); გ. გაბრიძე, ნ. რუსიშვილი;
ბ. დოგრაშვილი (სამივე ქუთაისი); სფზ-ის ინსპექტორი: ი. გუნთაძე

ბორი. 26 მარტი. 15 საათი. თბილისი ბურჯანაძე

დილა — ლოკომოტივი


მსაჯეები: ა. შალამაგორაძე (ქუთაისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი); ზ. ჯგერაძე;
ი. კახიანი (ორივე თბილისი); სფზ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩიგაშვილი

თბილისი. 26 მარტი. 15 საათი. ოლიმპიკი

სპარტაკი — მცხეთა

მსაჯეები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ურუშაძე (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი);
ზ. ანიაშვილი (გორი); სფზ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია; დირექტორი: შ. ბაქრაძე

თბილისის „სპარტაკმა“ ამრამდენიმე დღის წინ თასის მეოთხედფინალში შინ „ვიტ ჯორჯია“ დამარცხა 1:0 — ამპატარა სენსაციამ საპასუხო შეხვედრას დიდი ინტრიგა შესძინა. თუმცა წინ ჯერ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებია — „სპარტაკის“ მიზანი უმაღლეს ლიგაში დარჩენაა. გუნდის მთავარ მწვრთნელ მშრტაზ ხურცილაძეს კი სხვა საკითხებზეც ვესაუბრეთ



306 არის დევაძე? ახითხათ მა! ჰხითხათ ჟირასს!

— როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე მოახერხეთ „ვიტ ჯორჯიას“ დამარცხება?

— „ვიტ ჯორჯია“ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, „სპარტაკი“ კი ორი კაცის გარდა ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული — ალბათ, მეტოქემ ჩვენი ძალა ვერ შეაფასა. ბევრს ჰგონია, რომ „სპარტაკი“ ისე აღვივლად დათმობს თამაშებს, როგორც ეს პირველ ეტაპზე ხდებოდა, მაგრამ ასე არ იქნება. „ვიტ ჯორჯიას“ შინ მოუვეთ, მაგრამ ეს მეოთხედფინალის პირველი რაუნდი იყო — მთავარი თამაში წინ არის, თუმცა ეს გამარჯვება „სპარტაკის“ ახალგაზრდა ფეხბურთელებს რწმუნას შემატებს.

— „სპარტაკმა“ მეორე ეტაპისთვის ორი გამოცდილი ფეხბურთელი დაიმატა — აკაკი დევაძე და გიორგი კიკნაძე — რა კონდიციაშია ახლა კიკნაძე, ვისაც, ფაქტობრივად, რამდენიმე წელი გაუცდა?

— ყველაფერს ვაკეთებთ, რომ კიკნაძე ისევე ის კიკნაძე გახდეს. ამისთვის მას ასაკიც ხელს უწყობს — გიორგი 27 წლისაა. ბევრი რამ თვითონ ფეხბურთელზეცაა დამოკიდებული, ის, თუ როგორ გადალახავს სირთულეებს. თუ კიკნაძე ფორმას აღიდგენს, ის მხოლოდ „სპარტაკს“ კი არა, ქართულ ფეხბურთსაც გამოადგება.

— აკაკი დევაძეზე რას იტყვიან? მისთვის, ალბათ, უფრო იოლი იქნება გაცდენილის ანაზღაურება.

— დევაძის მონაცემები ყველამ კარგად ვიცით. თანაც ძალიან მნიშვნელოვანია მისი დიდი სურვილიც, რომ ფეხბურთი ითამაშოს. დევაძე რომ ფეხბურთის დაუბრუნდა, „სპარტაკი“ ამით დიდ საქმეს აკეთებს.

— მიგაჩნიათ, რომ დევაძემ უკვე სრულად აღიდგინა ფორმა?

— რა თქმა უნდა, დევაძე უკვე მზად არის. მაგრამ მაინტერესებს, ალენ ჟირესს თუ უთხრეს რაიმე მის შესახებ, თუ ჩამოუგდეს ლაპარაკი იმაზე, ვინ არის დევაძეზე უკეთესი მეკარე საქართველოში?

— ეს რომ თქვენ გაითხოთ, რას გვიპასუხებთ?

— დღესდღეობით ქართველ მეკარეთა შორის დევაძე საუკეთესოა.

— ორი გამოცდილი მოთამაშე და ახალგაზრდები — რას უნდა ველოდოთ ასეთი „სპარტაკისგან“?

— ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში დარჩენაა. რთულ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ სწორი გეზი გვაქვს ალებული — აქცენტს ახალგაზრდებზე ვაკეთებთ. უარს არც გამოცდილ მოთამაშეზე ვიტყვი, მაგრამ ცხრა გუნდი რომ აქვს გამოცვლილი, ასეთი ფეხბურთელი არ მჭირდება.


— ქვედა ექვსეულში თქვენი მეტოქეები ტრადიციული გუნდებიც არიან — „ტორპედო“, „ბათუმი“, „კოლხეთი“...

— ისინი ჩვენზე ცოტა უკეთეს მდგომარეობაში არიან, მაგრამ ჩვენ არავისი გვეშინია.

— არც უცხოელი მწვრთნელების მოძალდების საქართველოში?

— საქართველოში პირველ რიგში ქართველ მწვრთნელებს უნდა შეუქმნან კარგი სამუშაო პირობები. მართალია, ქართველი მწვრთნელები ძირითადად თვითნასწავლნი არიან, მაგრამ მთავარი ალბათ ისაა, რომ ფეხბურთელს ასწავლო ის, რაც შენ თვითონ გაგიკეთებია მინდორზე. თუმცა სამწვრთნელო განათლებაც საჭირო და კარგია.

დავით თავართქილაძე



„დევაძე“ აკაკი დევაძე ყოჩაღად გამოჩნდა

ასეთი არ გაგიბიძაში მოთაფაფა მოვარჯიშედ იქცა

მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგის“ ქართველმა ნახევარმცველმა ალექსანდრე რეხვიაშვილმა კლუბის დირექტორ იური ბელოუსთან შეხვედრის შემდეგ ლატვიურ „სკონტოში“ დაბრუნება დროებით გადაიფიქრა. ჩვენებურმა ბელოუსისგან ხეირიანი კლუბის მოძებნის გარანტია მიიღო და დარჩენაზე დათანხმდა.

პრობლემა ერთია — რეხვიაშვილი „ტორპედო-მეტალურგის“ საჩემპიონატო განაცხადში არ არის და სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე ისევე უთამაშებლობა ელის. ისე კი, აქამდე სარეზერვოებში მოვარჯიშე რეხვიაშვილს ძირითად გუნდთან ვარჯიშის უფლებაც მისცეს.

ბელოუსმა ჩვენებურს ისიც უთხრა, რომ რუსეთის ჩემპიონატის პირველი წრის დამთავრებისთანავე მას სხვა კლუბში გადასვლაში ხელს არ შეუშლის და მცირე საკომპენსაციო თანხას მოითხოვს. მანამდე კი, კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს პირნათლად შეუსრულებს.

სხვა საქმეა, რას მოიგებს მხოლოდ ვარჯიშით საქართველოს ნაკრების აქამდე უცვლელი წევრი...


აბაზ ზალაგზბერიძე



აბაზ ზალაგზბერიძე

ასათიანი აპრილაგდე ივლის

სამართავლოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველ-ნახევარმცველი მალხაზ ასათიანი ჯერაც უქმნადა. კუნთდაჭიმულ ფეხბურთელს რკინიგზელთა ექიმები დასტრიალებენ, მაგრამ საიმედოს ვერაფერობით ვერაფერს ეუბნებიან. ასათიანი, სულ მცირე, ათ დღეში თუ შეძლებს ტუნბულის დაწყებას, თუმცა ჯერჯერობით ესეც სავარაუდოა. საბოლოო პასუხს ჩვენებური დღეს, სამედიცინო გამოკვლევების შემდეგ გაიგებს.



რებას არ აპირებს და ტრავმის გართულებას ერიდება. ამასვე ურჩევენ ექიმებიც. ასე რომ, მოსკოვის

მალხაზის თქმით, საირილისას ფეხი აღარ აწუხებს, მაგრამ აჩქარუსეთის თასის მერვედფინალურ მატჩში ვიტალი დარასელიას „ალანიური“ დებიუტი შედგა. დებიუტი ხალიანი ვერ გამოვიდა: იაროსლაველში „მინიკთან“ დამატებით დროში 0:3 დამარცხების შემდეგ ოსური კლუბი გათამაშებას გამოეთიშა.

ვიტალი 82-ე წუთზე ლევან გვაზავამ შეცვალა, ამ დროისთვის ანგარიში 0:0 იყო, რაც „ალანიას“ შემდგომ ეტაპზე გასასვლელად სრულიად აკმაყოფილებდა. თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე მასპინძლებმა მცველთა შეცდომით ისარგებლეს და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანეს, მერე კი...

ვიტალი დარასელია: ძალიან მძიმე მატჩი იყო, უვარგის მოედანზე ხეირიანს რას გააკეთებდი, გაჩაღდა გრძელი პასები და სირბილი. მე კი ისევე მარჯვნივ მათამაშეს და შეცვლამდე ხუთი წუთით ადრედა გადამწივს მარცხენა ფრთაზე. ამ დროისთვის ჯანდასრულად აღარ მქონდა, მაგრამ ერთი საგოლე პასი მაინც გავაკეთე.

— პრესა წერს, რეალიზაციაში მოიკოჭლებო... — რაში არ მოვიკოჭლებო?! ჯერ გუნდი არ ვართ. იმ მომენტებიდან, რაც გვექონდა, ერთი მაინც რომ გატანდილიყო, მორჩენილი იქნებოდა „მინიკის“ საქმე.

— კურბისთან დალაპარაკებას ხომ არ აპირებ შენს ამლუასთან დაკავშირებით?


— ვაპირებ, რადგან ასე საქმე არ გამოვა. თუ მათამაშებს და შენდობა, მარცხნივ დამაყენოს, თუ

„ლოკომოტივში“ ქართველი ფეხბურთელის დაბრუნება შუა აპრილში თუა მოსალოდნელი.

მანამდე კი, იური სიომინის გუნდი რუსეთის თასის მეოთხედფინალში გავიდა. გუმინწინ რკინიგზელებმა მერვედფინალის საპასუხო მატჩში ყაზანის „რუბინს“ შინ 1:0 სძლიეს და ორი შეხვედრის ჯამში 2:1 მოიგეს. „ლოკომოტივის“ ძირითადში მიხეილ აშვეთიაც არ გამოჩენილა. სიომინმა საქართველოს ნაკრების თავდამსხმელს ოდენ ბოლო ათი წუთი ანდო.

აბაზ ზალაგზბერიძე

ტაშქენტი? არა, არა, შიმ-კენ-ტი!



ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი ნახევარმცველი კახა კვეტენაძე კარიერას ყაზახეთში გააგრძელებს. ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია — 32 წლის კვეტენაძემ შიქენტიის „ორდაბასთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.


შეგახსენებთ, კახამ მშობლიური „ტორპედო“ წლეულს, წრეებსშორის შესვენებისას დატოვა და მაშინვე საქართველოდან წასვლა გადაწყვიტა. როგორც ხედავთ, მან სურვილი აისრულა და კარიერაში პირველად გაღვივებულა.

„ორდაბასი“ ყაზახეთში საშუალო დონის კლუბად ითვლება, თუმცა ახალ სეზონში ხელმძღვანელობას სერიოზული მიზნები დაუსახავს. კერძოდ, შიქენტიელები უეფას თასზე გასვლას გეგმავენ და საამსაქმოდ ჩვენებურის იმედიც აქვთ.

ყაზახური სუპერლიგა 3 აპრილს იწყება. პირველ ტურში კვეტენაძის „ორდაბასი“ აუტსაიდერად მიჩნეულ „ეკიბასტუზეცს“ მასპინძლობს. ექსტორპედოელმა ძველი ტრავმა სრულად მოიჩინა, ათი დღეა, ახალ გუნდში სრული დატვირთვით ვარჯიშობს და სავარაუდოდ, დებიუტს პირველ ტურშივე მოიწყობს.

დავით ივანიძე

პრემიერი მოითხოვს ბარლუსკონი მალდინის ტრავმის შესახებ




იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი შეეცდება პაოლო მალდინის გადაწყვეტილება შეაცვლევინოს და ევროპის მოახლოებულ ჩემპიონატში თამაშზე დითანხმოს.

„მალდინი დიდებულ ფორმაშია — განუცხადა ბერლუსკონიმ ჟურნალისტებს — შწამს ნაკრებს მისი თამაში ძალიან გამოადგება“.

„მილანის“ მცველი „სკუადრა

აპურას“ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ დაემშვიდობა, მაგრამ უამრავი ადამიანის ღრმად რწმენით, დღეს იგი გუნდში ისევ გამორჩეულ ადგილს დაიკავებდა. ცნობილია, რომ მალდინის ნაკრებში დაბრუნება რამდენჯერმე მწვრთნელმა, ჯოვანი ტრაპატონიმაც სთხოვა, მაგრამ 36 წლის ვარსკვლავმა უარი შეუთვალა. შეძლებს კი იგი ქვეყნის პრემიერ-მინისტ-



რისთვის და რაც უფრო მთავარია, მისი კლუბის, „მილანის“ პრეზიდენტისთვის უარის თქმას?

„პაოლო პორტუგალიაში ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა იქნებოდა — დაჟინებით განაგრძო პრემიერმა — მე ყველა ღონეს ვიხმარ, რათა დავარწმუნო, რომ ჩვენი ქვეყნის ნაკრების ცისფერი მისიურა აუცილებლად უნდა ჩაიცვას“.

ბაბუნა კვიციანი

ნაღდი როგაელი მანსინი ფასვლას არ ჩქარობს



ამანტინო მანსინი ვინც არის, იტალიაში ყველა იცის. მისი ვინაობა ასევე ყველამ იცის მთელ ფეხბურთის მოყვარულ ევროპაშიც — ლაპარაკია „რომას“ ბრაზილიელ გარემარბზე, რომელმაც გუნდის ქომაგებს გული იმით გაუხარა, რომ განაცხადა, შემიძლია არსადაც არ გადავიდე, „რომას“ ვუერთგულო.

საქმე ის გახლავთ, რომ სეზონის ბოლოს „რომამ“ ფულის გამო შესაძლოა, რამდენიმე საუკეთესო მოთამაშე გაყიდოს, მაგრამ მანსინის აგენტის, ალემანოს განცხადებით, მათ შორის შეიძლება სულაც არ იყოს მისი კლიენტი.

„ნამდვილად არ გამოვრიცხავ იმ

ვარიანტს, რომ ამანტინო „რომასთან“ კონტრაქტს გააგრძელებს. მანსინი ამ ქალაქს მოერგო, მოერგო გუნდს და ბედნიერი იქნება, თუ აქედან წასვლა არ დასჭირდება. მეორე მხრივ, თუ მასსა და კლუბს შორის საერთო ენა ახლავს ვერ გამოინახა, მანსინი არ გაიქცევა, მოთმინებით დაუცდის მოვლენათა განვითარებას“ — თქვა ალემანომ.

შეგახსენებთ, რომ ამანტინო მანსინი „რომამ“ ამ სეზონში გადავიდა, მანამდე კი სერია B-ში, „ვენეციაში“ გამოდიოდა. იგი 23 წლისაა. მიმდინარე სეზონში ბრაზილიელმა ბევრი საგოლე პასი მიითვალა და გოლთა სიმრავლეც არ დაეწუნება.

ბაბუნა კვიციანი

დაუბარით, უბეჭებო ქორწილია!

ფარგის შიშით ქაჩააცი ვერ დაუვაბიყბია

ამ ზაფხულს რუულ ვან ნისტელროი თავის ბავშვობისდროინდელ მიჯნურზე, ლენტინ ფლაატფზე იქორწინებს. ცერემონიალი და ქეიფი პატარა პოლანდიურ სოფელ გეფენში გაიმართება.

რუულმა სტუმართა გრძელი სია შეადგინა. ცხადია, ამ სიაში მთელი მისი გუნდი, „მანჩესტერ იუნაიტედიცაა“, ოღონდაც პოლანდიელს ბოლოწუთს ამოუშლია თავისი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი დევიდ ბექემი და მისი ცოლი ვიქტორია. ამაზე ფეხბურთელს ძალიან უნერვიულია, რადგან ბექესთან მართლაც კარგი მეგობრობა აქვს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ქორწილში მენეჯერი სერ ალექს ფერგიუსონიცაა დაპატიუებული, ფერგი ბოსია და რუულსაც პატივს სცემს, ამიტომ ის იქ უნდა იყოს.

ბექისა და ფერგის კატათავგობანა კი ცნობილია. არავის დავიწყებია ბექემის წარბის, მათი ჩხუბების და მერე გაყიდვის ისტორია. გამზრდელსა და გაურჩებულ შეგირდს შორის დღეს კარგი აღარაფერია და ვან ნისტელროის არ უნდა, რომ მისი ქორწილი ამ ორი კაცის იქ ყოფნის ინტრიგაზე აეწყოს და ცირკს დაემსგავსოს.

სოფელ გეფენში კი უკვე ასი ათასი გირვანქა დახარჯული ქორწილის უსაფრთხოებისათვის.



რუულისა და ლენტინის ქორწილი დევიდისა და ვიქტორიას გარეშე ჩაივლის

ფერანდო ტორესი ბორუსა იტალიელს თაჰი შესთავაზა


ფერანდო ტორესი ამბობს, რომ თუ მადრიდის „ატლეტიკოს“ დატოვება მოუწევს, იტალიაში გადასვლას ისურვებდა. მოგახსენებთ, 19 წლის ტორესი მთელ ესპანეთს ამომავალ დიდვარსკვლავად ჰყავს შერაცხული და მის გადაბირებაზე ბევრი კლუბი მუშაობს. და ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ თავად „ატლეტიკომ“ ბევრჯერ ხმამაღლა განაცხადა, ტორესი არ იყიდება.

„თუ გუნდს ფინანსურად დაეხმარება, გამყიდონ — ამბობს ამ დროს თავად ფეხბურთელი — ოღონდ სხვა ესპანურ კლუბში გადასვლა არ მინდა, რადგან „ატ-

ლეტიკოში“ დავიბადე და მის წინააღმდეგ ვერასდროს ვითამაშებ. უმჯობესი იქნება, თუ „მილანში“ ან „იუვენტუსში“ გამოვხდებ. ეს ორი ამბიციური და ძალიან ორგანიზებული კლუბია, ოღონდ თუ ჩემს შემენას მოისურვებენ, მე კი არ დამიკავშირდნენ, არამედ „ატლეტიკოს“. ჩემზე რომ იყოს, მთელს ცხოვრებას აქ გავატარებდი“.

ოფიციალურად არაფერია ცნობილი, კულუარებში კი ამბობენ, რომ სერია A-ს ხსენებულ ორ კლუბს ფერანდო ტორესის შეძენა მართლა ძალიან.

ბაბუნა კვიციანი



ფერანდო ტორესი

Крупнейшая российская букмекерская контора ФОН

Приглашает к сотрудничеству

Откройте контору в своем городе!

Справки по телефонам:
+7 095 9045011; +7 095 9045018

Ставки и казино в интернете: www.fonbet.info



ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

მარტის თავაღები მორიენტისა სანტიაგო ბერნაბეუს თავური შეახსენა

ჩელსი (ლონდონი, ინგლისი) 1:1 **არსენალი** (ლონდონი, ინგლისი)
10 გუდონსენი (53), 11 პირესი (59)

ჩელსი: ამროზიო, გალასი, ტერი, დეხაი, ბრიჯი, პარკერი (ჯ. კოული 72),
მაკელეფე, ლამპარდი, დევი, მუტუ (კრესპო 72), გუდონსენი (მელნიოტი 86)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

არსენალი: ლემანი, ლორენი, ტურე, კემპბელი, ე. კოული, ლიუნგბერგი (რეიესი 78),
ვიეირა, ედუ, პირესი, ანრი, ბერესკამპი (ფილბერტო სილვა 72)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: მაკელეფე (65), დეხაი (80, 83)

გაძევება: დეხაი (83)

მსაჯი: მანუელ ენრიკე მესტო გონსალესი (ესპანეთი)
40 778 მაყურებელი

„მონაკო“, ჩვენ თუ გვკითხავთ, ძალიან კარგად ითამაშა. სამთავროვლებს მეტოქე დაწვრილებით ჰყავდათ შესწავლილი, რაც უპირველეს ყოვლისა მწვრთნელის, დიდი დემანის სერიოზულ ნამუშევარზე მიუთითებდა. სტუმრები ერთსულოვნად, ორგანიზებულად მისდევდნენ არჩეულ სათამაშო გეგმას, რამელიც მადრიდლების შეტევითა მჭიდრო მარწუხებით ჩაწმობას, ხოლო თავისაჩინო ბზარების მაქსიმალურად გამოყენებას გულისხმობდა.

და რა, განა „მონაკო“ ორი გოლი არ გაიტანა? განა პირველი ტაიმი არ მოიგო? განა მასპინძლები ლაღობდნენ? დიან, დიან და არა! მამ ასეთი ანგარიში საიდან? ვფიქრობთ, იქიდან, რომ ყველაფერი, რაც „მონაკო“ იღონა, გათვლილი იყო ნორმალურ ვითარებაზე და არა იმაზე, რომ გუნდის წინააღმდეგ ზიდან, რონალდო, ფიგუ, რაული და ბექემი ითამაშებდნენ. ახლა, ვიღაც იკითხავს, ეგ „რეალი“ თუ ასეთი „არანორმალურია“, ესპანეთის ჩემპიონატში საკმაოდ საშუალო, ხშირად, ალბათ, „მონაკოზე“ სუსტ გუნდებთან რა მოსდისო, მაგრამ მაგ კითხვაზე პასუხი ადვილია: ზემოთ ჩამოთვლილმა ვარსკვლავებმა, ესა თუ ის კონკრეტული თამაში თვითონ თუ არ წააგეს, მათი დამარცხება უკეთესი თამაშით მოელს დედაშიწაზე ერთი-ორი მოწინააღმდეგის გა-

რდა ვინმემ რომ შეძლოს საეჭვოა. და იმ ერთ-ორ ვინმესაც ძალიან, ძალიან აღჩუხე უნდა დაუვადეს კოჭი. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ ჩემპიონატში, ანუ ბევრმატჩიან პროცესში, როდესაც ყოველდღიურობა მეტია, საგანგებო მოწადინება ნაკლებია, ვიღაც ტრავმირებულია, ვიღაც უგუნებოდა და ასე შემდეგ, მადრიდელთა ცუდი თამაშები უფრო მოსალოდნელია, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში.

მატჩის შემდეგ „მონაკოს“ თავკაცმა, დემანმა ასე ბრძანა: „ყველაფერი, რაც პირველ ტაიმში გავაკეთეთ კარგი იყო, მაგრამ მადრიდის „რეალი“ ევროპის საუკეთესო გუნდია, რომელსაც საუკეთესო ფეხბურთელი, ზინედინ ზიდანი ჰყავს. მიუხედავად შესაძლებლობებისა, გაენადგურდით, თუმცა კმაყოფილების გრძობა მაინც დამეუფლა. ჩემმა ფეხბურთელებმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა, ძალიან დიდ გამოწვევაში მიიღეს მონაწილეობა. რაც შეეხება საპასუხო მატჩს და ნახევარფინალში გასვლის შანსს, მინდა ვითხრათ, რომ ოცნება ყოველთვის შეიძლება და შანსიც გვაქვს, მაგრამ ოცნების განხორციელება ძალიან ძნელი იქნება. პირველ ტაიმში ჩინებურად რომ ვითამაშეთ, მოგვიანებით დავიღალეთ, საგანგებო დატვირთვამ თავისი მოითხოვა. დაახლოებით 30 წუთი კი ძალიან ცუდი გვე-



ივერ კასილიას ფერანდო მორიენტისის გოლი არ სწყენია

ნდა. ამ მონაკეტში ჩვენთვის სასურველი რიტმი დავკარგეთ, რითაც მადრიდელებმა ბრწყინვალედ ისარგებლეს“.

„რეალის“ მწვრთნელს, კარლუმ კეირუმს კი უპირველეს ყოვლისა ორი გოლის გამოკვება არ მოეწონა. მან თქვა:

„ორი გოლის გაშვება ნორმალური არ არის. მუშაობა უნდა განვაგრძოთ, მეტი გონიერება და მეტოქეებზე ზოწოლის გაძლიერება გვმართებს. უკმაყოფილო ვარ იმითაც, რომ წინა თვის ამბავი მეორდება და სტანდარტული სიტუაციებით ვისჯებით. მოწონებით ის მომეწონა, რომ შესვენების შემდეგ სიმტკიცე გამოვიჩინეთ და არა ზედმეტი მომენტების აღგზნება. სწორედ ამის მერე დავიწყეთ მეტი და მეტი შექმნა. ერთი სიტყვით, დამოკიდებულებით კმაყოფილი ვარ და მობილიზაცია ყოველ შეხვედრაში უნდა შევინარჩუნოთ. კიდევ, ვფიქრობ, დღეს ვაჩვენეთ, რომ თუ რომელიმე ფეხბურთელი დამავებული გვყავს, მის არყოფნას კონკრეტულ გადაწყვეტას ვუძებნით“.

შეხვედრის დეტალური აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ, თუმცა თქვენს ყურადღებას კიდევ სამ მომენტს მივაპყრობთ. პირველი ის არის, რომ დევიდ ბექემმა ყვითელი ბარათი მიიღო და შემდეგ თამაშს გამოტოვებს. ახლა, რით არის ეს ამბავი აღსანიშნავი იმით, რომ ბექემს ამ შეხვედრამდე ერთი ყვითელი უკვე ჰქონდა და ეჭვი არ გვაპარებოდა, „მონაკოსთან“ სასურველი შედეგის შემთხვევაში თამაშის მიწურულს მეორის მიღებდა მიზეზი გასაგება: ბექემი საპასუხო მეოთხედფინალურ და ნაკლებად, საჭოჭმანო თამაშს გამოტოვებს. ნახევარფინალს კი გაფრთხილების გარეშე შეუდგება.

მეორე, რაზეც თქვენი ყურადღების მიპყრობა გვინდა, ის გახლავთ, რომ ზინედინ ზიდანმა კვლავ ერთ-ერთი ყველაზე საჭირო, გადამწყვეტი, ბედის შემომტრიალებელი თუ განმსაზღვრელი გოლი გაიტანა და შესაძლოა, გოლი შეაგდო მონაკოელმა ფერანდო მორიენტისმაც.

მოდით, მორიენტისის ისტორიას აქ ნულარ მოვყვებით, ის კი ღაღინოთ, რომ ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც „სანტიგო ბერნაბეუმ“ „რეალის“ კარში გასულ გოლს ტაში დაუკრა.

ბარბი იყო, არ გასულიყო

ჩაიროუბა რონალდო დახრობას გადაარჩინა იძულებითი შესვენების შემდეგ რონალდო „რეალს“ დაუბრუნდა და ჯერ კიდევ ბოლომდე ვერმორჩენილმა ფრანგული „მონაკოს“ ძღვევაში ერთ-ერთი უმთავრესი როლი შეასრულა. ესპანურმა „ლიბრედი-რეკტომ“ ნამატჩევს ბრაზილიელი სასაუბროდ მოიხელთა

— როგორ გრძობთ თავს დაბრუნების შემდეგ?

— შესანიშნავად და მიხარია, რომ ჩემი „ბერნაბეუმ“ დაბრუნება „რეალის“ გამარჯვებას დაემთხვა. 4:2 საუკეთესო არა, მაგრამ კარგი შედეგია. მიუხედავად „მონაკოს“ მეტოქეების დიდი წინააღმდეგობისა, ჩემი წაქცევისთვის პენალტი მოვიანდირეთ და რაც მთავარია, გოლიც გავიტანე. მოკლედ, ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ.

— თითქმის ყველაფერი დასრულებული იყო და „რეალიც“ ალბათ, ნახევარფინალში გასვლას განაღებდა, რომ არა მორიენტისის საგოლე თავური...

— რა თქმა უნდა, 4:1 უკეთესი იყო, მაგრამ არც 4:2 გახლავთ ურიგო. საფრანგეთშიც მოსაგებად ჩავალთ, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება „მონაკოს“ სუსტ გუნდად ჩათვლა — საკმაოდ სამიში მეტოქეა.

— თამაშისას ტკივილმა ხომ არ შეგაწუხებდა?

— არა, მაგ მხრივ პრობლემა არ მქონია. ტრავმაზე ნაკლებად ვფიქრობდი და, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა.

— კეირუმმა მეორე ტაიმში შეგცვალათ. მწვრთნელის გადაწყვეტილება მართებული იყო?

— კეირუმს სწორად მოიქცა. ტრავმის გამო 16 დღე უთამაშებელი ვიყავი და 90 წუთს ვერ გავუძლებდი, ალბათ დავიხრჩობოდი. მწვრთნელმა იცის თავისი საქმე.

— „რეალმა“ ბოლო ხანს რამდენიმე უიღბლო შეხვედრა ჩაატარა. რას გვეტყვით კასტილიური გრანდის ახლანდელი თამაშის შესახებ?

— საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. ბიჭებმა „მონაკოსთან“ მოგება დაიმსახურეს და მეც მოხარული ვარ, რომ გუნდს ძველებური სიძლიერე არ დაუკარგავს.



„რეალის“ პირველკაცობა ისევ ზინედინ ზიდანმა გასწია

ბაბუნა კვიციანი



ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი



რეალში (მადრიდი, ესპანეთი) 4:2 მონაპო (საფრანგეთი)
 0:1 სკილაჩი (43), 1:1 ელგერა (51), 2:1 ზიდანი (70), 3:1 ფიგუ (77), 4:1 რონალდო (81), 4:2 მორინტესი (83)
ფიგუ ვერ გაიტანა პენალტი (77, მეკარე)
რეალში: კასილიასი, სალგადო, ელგერა, მესია, რაულ ბრაუო (პალონი 28), ფიგუ, ბექემი, გუტი (ბორხა 77), ზიდანი, რაული, რონალდო (სოლარი 82)
მწვრთნელი: კარლუს კეირუსი
მონაპო: რომა, გივე (იბარა 83), როდრიგესი, სკილაჩი, ევრა (ელ ფაკირი 89), ე. სისე (პლასილი 67), ბერნარდი, ზიკოსი, როტენი, ჟიული, მორინტესი
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
გაფრთხილება: ბერნარდი (41), სკილაჩი (76), ბექემი (90)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
 70 000 მაყურებელი



რობერ პირესის საგოლე თავური

პრ ნახვიდა, კლაუდიო!

ლონდონი გერმანიის ტუტუცობამ გაახალისა



კლაუდიო რანიერი

მატჩის წინ ცინცხალი ინფორმაცია გაჩნდა — კლაუდიო რანიერის ივლისში გაათავისუფლებენო. „ჩელსის“ იტალიელი მწვრთნელი აქამდე უარყოფდა, ან წასვლა-დარჩენის შესახებ კითხვებს თავს არიდებდა, მაგრამ გუშინწინ თქვა: „ვიცი, რომ ზაფხულში წასვლა მომიწევდა, თუნდაც ყველა ვილო მომეგო“.

რანიერის თუ გაუშვებს, რომან აბრამოვიჩის საკომპენსაციოდ გვარიანი თანხის დახლოებით რვა მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევს.
 „სტემფორდ ბრიჯზე“ კი „ჩელსის“ ქომაგებმა ლოზუნგები გამოფინეს: „რანიერი დარჩი!“ რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ინფორმაცია იტალიელის გაშვების თაობაზე სიმართლესთან ძალიან ახლოსაა.
 კლაუდიო რანიერის თავკაცობით „ჩელსის“ „არსენალისთვის“ არასოდეს მოუგია და ამჯერადაც ვერ შეძლო. მიუხედავად ამისა, „არისტოკრატთა“ მწვრთნელი ნამატჩევეს ენაწყლიანობდა: „ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევა, რადგან „მეთოფები“ ამ სეზონში გაგვამწარეს. „არსენალი“ წლეულს თითქოს სხვა სამყაროშია, „ჩელსი“ კი მისდევს. მათ ყოველ მატჩში გააქეთ გოლი და ალბათ „პაბერიზეც“ გაგვიტანენ, მაგრამ ბრძოლა ჩვენც შეგვიძლია“.
 იტალიელმა ისლანდიელ ფორვარდს გარჯა შეუქო: „გუდონსენის გოლი შესანიშნავი იყო. მან ირწმუნა, რომ ბურთს მიუსწრებდა და მონდომება დაუფასდა. ამის შემდეგ გუნდმა ბრწყინვალე ათწუთეული გამართა. მეორის შემდეგაც შეგვეძლო, მაგრამ მომენტები ვერ გამოვიყენეთ და საპასუხო გოლი მივიღეთ“.
 საუბრის დასასრულს „ჩელსის“ თავკაც-


ცმა გულშემატკივრებს მადლობა გადაუხადა: „ჩემი მხარდაჭერისთვის მათი მადლიერი ვარ, მაგრამ მსურს, რომ მხოლოდ გუნდს უქომავონ. პრეზიდენტები და მწვრთნელები შეიცვლებიან, „ჩელსი“ კი ყოველთვის იქნება“.
 არსენ ვენგერი: „როცა გაუთანაბრეთ, მეტოქე ცუდ დღეში ჩავარდა, მანამდე კი ჩვენ ვიყავით აჭრილინი. ბოლო ოც წუთში ვგრძნობდი, რომ მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ ამ შედეგითაც კმაყოფილი ვარ. საპასუხო მატჩშიც ასევე ვითამაშეთ, დაცვაში ჩაჯდომას არ ვაპირებთ, რადგან ეს კარგს არაფერს მოგვიტანს“.
 ფრანგმა პირესის გოლზე თქვა: „უცნაურია, მაგრამ პირესი იმ ადგილზე აღმოჩნდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი“.
 საპირველთაიმო ფრთხილი ფეხბურთი შესვენების შემდეგ იენს ლემანის ჯამბაზობამ გახსნა. აქვე უნდა გავიხსენოთ დევიდ სიმენი. მას მფრინავი ბურთები არ უყვარდა და

მაღლა ახტომა ეზარებოდა, სიმენის შემცვლელს კი იალოში ხშირად კარიდან გამოსვლისას ემართება. გერმანელი მეკარე საჯარიმოს გარეთ იმისთვის გავარდა, რომ ბურთი გუდონსენისთვის ჩაებარებინა. ისლანდიელმა საჩუქარი შეირგო და ცარიელ კარში გაიტანა.
 დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში „არსენალი“ დაიკარგა, ჩელსელები კი ისე მსუბუქად ათამაშდნენ, თითქოს ხუთ-ხუთი კილო დაიკლესო. რამდენიმე კარგი მომენტიც შექმნეს, მაგრამ დაბოლოებისას სცოდავდნენ.
 რობერ პირესმა რომ გაათანაბრა, თამაში ჩაწყნარდა. „მეთოფები“ ჩვეულად ლაღად ვერ დაჰქროდნენ, რადგან მეტოქე ფეხდაფეხ დაჰყვებოდათ. კლაუდიო რანიერიმ განსაკუთრებით ტიერი ანრის შეზღუდვაზე იზრუნა, რომელიც ფაქტობრივად, გამოთიშეს კიდევ მასპინძლებმა და „არსენალის“ შეტევებს ფხა მოაკლეს.

მათა ხუციშვილი

იუვენტუსის დიდუასთვის დიდია

„მონაკოს“ მწვრთნელს დიდიე დეშანს ისევ „იუვენტუსზე“ მოუხდა ლაპარაკი — ჯიუტად დადის ქორი, რომ მომავალ სეზონში „ბებერ ქალბატონს“ სწორედ დეშანი განვრთნის, მაგრამ თავად ფრანგი ამ თემაზე ლაღად საუბარს არ ჩქარობს
